ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 29

სხდომის ჩატარების დრო:
22 თებერვალი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N 3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

დიმიტრი მხეიძე, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე.

სულ: 6 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი,** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ზედამხედველობის განყოფილების უფროსი **ზვიად წაქაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების დამტკიცების თაობაზე;

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვარის N 65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :
დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის- **„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთასისის მუცნიპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა, ბატონმა **ზვიად წაქაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ზ.წაქაძემ** აქვე განმარტა: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2022 წლის 22 დეკემბერს შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც მოგვენიჭა უფლებამოსილება, რომ ამ კოდექსის 55[2], 148-ე 152-ე, 152[2] და 153[4] , 159-ე, 159[1] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები ამ კოდექსის 290[6] მუხლის გათვალისწინებით განიხილოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულმა ერთეულმა ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილმა ფიზიკურმა პირმა ან იურიდიულმა პირმა. გარდა ამისა, აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას არ გვქონდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება და აღნიშნული ცვლილებით კი მოგვენიჭა აღნიშნული უფლებამოსილება. ასევე, ცვლილებით შეიცვალა წესი, რომლის მიხედვითაც სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას ოქმი გადაეცემოდა სასამართლოს და მას უნდა განეხილა სამართალდარღვევის საქმე, ამჟამინდელი რეგულირებით კი თუკი მხარე თავად არ გაასაჩივრებს მას, სამართალდარღვევის ოქმი ავტომატურად შევა კანონიერ ძალაში.“

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი**: - „ბატონო ზვიად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული აღნიშნული ცვლილებით ა(ა)იპ-ს მიენიჭა სამართალდარღვევის ოქმის გამოწერის უფლება? ასევე, ცვლილებები ხომ არ შეხებია საჯარიმო სანქციების თანხების ოდენობას, რადგან ვიცი რომ მზადდებოდა პაკეტი არქიტექტურულ საკითხებთან დაკავშირებით.“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, ბატონი **ზვიად წაქაძე:** არა მუნიციპალიტეტს მიენიჭა და შემდეგ უკვე საკრებულოს თანხმობაა საჭირო. რაც შეეხება საჯარიმო სანქციების ოდენობას, ცვლილებები არ მომხდარა ამ კუთხით.“

კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი**: ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ დავაფიქსირე ჩემი პოზიცია და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ა(ა)იპ-ის მიერ საჯარიმო სანქციების დაწესება ეწინააღმდეგება თავად ა(ა)იპ-ის იდეას, იმიტომ, რომ ეს არის იდეალური მიზნებისთვის შექმნილი იურიდიული პირი, რომელსაც არ აქვს უფლება საჯარო საქმიანობის განხორციელების, მაგრამ რადგან ეს წესი უკვე მიღებული გვაქვს, შესაბამისად ამ ეტაპზე შეგვიძლია ვიმუშაოთ ამ წესით.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დაადგინეს**:

მუხლი 1. მოწონებული იქნას დადგენილების პროექტი „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების დამტკიცების თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „როგორც მოგეხსენებათ ყოველი წლის თებერვლის ბოლოს ვალდებულება გვაქვს ნორმატიული ფასის დამტკიცების და შესაბამისად, წარმოდგენილია ფასი, რომელიც დაგვიდგინა შპს “კომპაუდმა“, რომელიც წელს იყო გამარჯვებული აუდიტორული კომპანია და წარმოდგენილია დანართად მათ მიერ მოწოდებული ფასი.“

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი**: - „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ყიდვის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და რამდენად ავლენენ ჩვენი მუნიციპალიტეტის საზღვრებში უცხო ქვეყნის მოქალაქეები/ინვესტორები ინტერესს ასეთი მიწის ნაკვეთების შესაძენად? ასევე, ჩვენ საფასური გავზარდეთ თუ შევამცირეთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, **თინათინ ბერიშვილი: -** „ნაკლებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაინტერესება. რაც შეეხება ფასებს, რამოდენიმე ზონაზე არის

გაზრდილი, დეტალურად გეტყვით პირველი ზონის პირველი ქვეზონა 250 იყო და 260 ლარი გახდა, მეორე ქვეზონა 220 იყო, 230 გახდა, მესამე ქვეზონა 200 იყო, 210 გახდა. მეორე ზონის პირველი ქვეზონა 180 იყო, 190 გახდა, მეორე ქვეზონა 150 იყო, 160 გახდა. მესამე ქვეზონა დარჩა უცვლელად 130. მესამე ზონის პირველი ქვეზონაც დარჩა უცვლელად 90, მეორე ქვეზონაც 70, მესამე ქვეზონაც 55 და გორა-საქუსლია 25.“

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დაადგინეს**:

მუხლი 1. მოწონებული იქნას დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვარის N 65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „აღნიშნული ცვლილებით დადგენილების დანართიდან ამოღებული უნდა იქნას მე-11 მუხლის მე-10 პუნქტი, რომელიც ეხებოდა აუქციონზე გასასვლელი ქონების განწილვადების წესს. მე-10 პუნქტში იყო შეზღუდვა, რომ განწილვადება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაევალდებულებოდა სასტუმროს აშენება. აღნიშნული ცვლილებით უქმდება ეს შეზღუდვა."

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **ბაქარ მახარაძე**: - „გულისხმობთ, რომ სასტუმროს გარდაც შეიძლება განწილვადება?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, **თინათინ ბერიშვილი: - „**დიახ, აღარ იქნება ეს დამატებითი შეზღუდვა და ინდივიდუალურ შემთხვევებში გაკეთდება განწილვადება."

კომისიის წევრი, ბატონი **დიმიტრი მხეიძე**: - „ ამ ცვლილების მიზეზი რა არის?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, **თინათინ ბერიშვილი: - „**დამატებითი შეზღუდვის მოხსნა. მაგალითად, ჩვენ გვაქვს შემთხვევა, როდესაც ფსიქიატრიულის შენობა, რომელიც 3 ჯერ არ გაიყიდა აუქციონზე და ახლა შემოდის საკითხი, რომ განწილვადების წესით გამოვაცხადოთ."

კომისიის წევრი, ბატონი **დიმიტრი მხეიძე**: - „არ იყო მყიდველები ამ პირობის გამო?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, **თინათინ ბერიშვილი: - „**ეს პირობა არ იყო მითითებული, თუმცა ფაქტია, 3 ჯერ არ შედგა აუქციონი და ალბათ ეს ყველაფერი ფასთან არის კავშირში."

კომისიის წევრი, ბატონი **ბაქარ მახარაძე**: - „რამე ზღვარი არსებობს განწილვადების დროს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, **თინათინ ბერიშვილი:** - „არა ზღვარი არ არსებობს, ყველა შემთხვევაში არ მოხდება, რა თქმა უნდა, განწილვადება. ეს იქნება ინდივიდუალურ შემთხვევებში, თუ იქნება ამის გამოყენების საჭიროება."

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის

დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, ლაშა შალამბერიძე, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დაადგინეს**:

მუხლი 1. მოწონებული იქნას დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვარის N 65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თეა ჯუღელი